

შპს „ეს ერ ჯი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ა რ ა ა უ დ ი რ ე ბ უ ლ ი)

ს ა რ ჩ ე ვ ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება - N1	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება - N2	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება - N3	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება - N4	5
განმარტებითი შენიშვნები	6-20

შპს "ეს ერ ჯი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება - ფორმა N1

	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	1,697,608	1,999,163	525,983
არამატერიალური აქტივი	8	90,451	125,134	144,662
		1,788,059	2,124,297	670,645
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	1	464,316	67,458	532,202
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2	1,023,155	436,047	201,950
სასესხო მოთხოვნები	3	77,294	297,188	-
დარიცხული მისაღები შემოსავალი /ავანსი	4		87,004	-
მარაგები	5	482,731	560,192	21,355
სხვა მიმდინარე აქტივები	6	67,233	178,358	-
		2,114,729	1,626,247	755,507
მთლიანი აქტივები		3,902,788	3,750,544	1,426,152
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,111,280	1,034,703	629,274
გადაფასების რეზერვი				
		2,111,280	1,034,703	629,274
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება	13	435,919	548,928	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
გადავადებული/გამოუმუშავებელი შემოსავალი	12	529,009	1,118,478	498,000
		964,928	1,667,406	498,000
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	749,754	1,011,481	275,944
ვალდებულებების პერსონალის წინაშე	10	34,070	28,530	2,800
საგადასახადო ვალდებულებები	11	34,329	-	20,134
სხვა ვალდებულებები	9	8,427	8,424	-
		826,580	1,048,435	298,878
მთლიანი ვალდებულებები		1,791,508	2,715,841	796,878
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3,902,788	3,750,544	1,426,152

_____ გიორგი კახაბრიშვილი - დირექტორი

_____ ქეთევან გელიშვილი - ფინანსური მენეჯერი

_____ დარეჯან ქუბრიაშვილი - ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით -
ფორმა N1

	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები	7	1,697,608	1,999,163	525,983
ძირითადი საშუალებები	8	90,451	125,134	144,662
არამატერიალური აქტივი		1,788,059	2,124,297	670,645
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	1	464,316	67,458	532,202
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2	1,023,155	436,047	201,950
სასესხო მოთხოვნები	3	77,294	297,188	-
დარიცხული მისაღები შემოსავალი /ავანსი	4		87,004	-
მარაგები	5	482,731	560,192	21,355
სხვა მიმდინარე აქტივები	6	67,233	178,358	-
		2,114,729	1,626,247	755,507
მთლიანი აქტივები		3,902,788	3,750,544	1,426,152
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,111,280	1,034,703	629,274
გადაფასების რეზერვი		2,111,280	1,034,703	629,274
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება	13	435,919	548,928	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
გადავადებული/გამოუმუშავებელი შემოსავალი	12	529,009	1,118,478	498,000
		964,928	1,667,406	498,000
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	749,754	1,011,481	275,944
ვალდებულებების პერსონალის წინაშე	10	34,070	28,530	2,800
საგადასახადო ვალდებულებები	11	34,329	-	20,134
სხვა ვალდებულებები	9	8,427	8,424	-
		826,580	1,048,435	298,878
მთლიანი ვალდებულებები		1,791,508	2,715,841	796,878
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3,902,788	3,750,544	1,426,152

ხელმოწერილი პირები:

გიორგი კახაბრიშვილი - დირექტორი

დარეჯან ქუბრაშვილი - ბუღალტერი

ქეთევან გელიშვილი - ფინანსური მენეჯერი

24 სექტემბერი, 2021 თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-20 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

სრული შემოსავლის ანგარიშგება - ფორმა N2

	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	14	6,439,913	7,965,251
თვითღირებულება	15	(3,814,702)	(6,221,374)
საერთო მოგება		2,625,211	1,743,877
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	16	(863,652)	(799,411)
ხელფასის ხარჯი	17	(373,655)	(349,227)
მიწოდებისა - სხვა საოპერაციო ხარჯი იჯარა	18	(46,745)	(61,154)
ცვეტა -ამორტიზაცია	19	(223,145)	(83,373)
საოპერაციო მოგება		1,118,014	450,712
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა სავალუტო ოპერაციებიდან:	20	1,929	(4,416)
ფინანსური შემოსავალი - საპროცენტო	21	7,273	-
საპროცენტო ხარჯი	21	(50,089)	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(40,887)	(4,416)
სხვა შემოსავლები	22	59,322	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი /ხარჯი	22	7,317	-
მოგების გადასახადი			
მოგება დაბეგვრამდე		1,143,766	446,296
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,			-
გადასახადების გამოკლებით			-
მთლიანი სრული შემოსავალი		1,143,766	446,296

_____ გიორგი კახაბრიშვილი - დირექტორი

_____ ქეთევან გელეიშვილი - ფინანსური მენეჯერი

_____ დარეჯან ქუბრიაშვილი - ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის -
ფორმა N2

	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	14	6,439,913	7,965,251
თვითღირებულება	15	(3,814,702)	(6,221,374)
საერთო მოგება		2,625,211	1,743,877
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	16	(863,652)	(799,411)
ხელფასის ხარჯი	17	(373,655)	(349,227)
მიწოდებისა - სხვა საოპერაციო ხარჯი იჯარა	18	(46,745)	(61,154)
ცვეტა - ამორტიზაცია	19	(223,145)	(83,373)
საოპერაციო მოგება		1,118,014	450,712
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა სავალუტო ოპერაციებიდან:	20	1,929	(4,416)
ფინანსური შემოსავალი - საპროცენტო	21	7,273	
საპროცენტო ხარჯი	21	(50,089)	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(40,887)	(4,416)
სხვა შემოსავლები	22	59,322	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი /ხარჯი	22	7,317	-
მოგების გადასახადი			
მოგება დაბეგვრამდე		1,143,766	446,296
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			-
მთლიანი სრული შემოსავალი		1,143,766	446,296
	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019

ხელმოწერილი პირები:

გიორგი კახაბრიშვილი - დირექტორი

დარეჯან ქუბრაშვილი - ბუღალტერი

ქეთევან გელიშვილი - ფინანსური მენეჯერი

24 სექტემბერი, 2020 თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-20 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

ფორმა N3 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	31/12/2020	31/12/2019
	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	579,379	(464,744)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(182,521)	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	396,858	(464,744)
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	67,458	532,202
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	464,316	67,458

_____ გიორგი კახაბრიშვილი - დირექტორი

_____ ქეთევან გელეიშვილი - ფინანსური მენეჯერი

_____ დარეჯან ქუბრიაშვილი - ბუღალტერი

24 სექტემბერი, 2021
თბილისი, საქართველო

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის -

ფორმა N3

	31/12/2020	31/12/2019
	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	579,379	(464,744)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(182,521)	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	396,858	(464,744)
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	67,458	532,202
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	464,316	67,458

ხელმოწერი პირები:

გიორგი კახაბრიშვილი - დირექტორი

დარეჯან ქუბრაშვილი - ბუღალტერი

ქეთევან გელეიშვილი - ფინანსური მენეჯერი

24 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-20 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს ეს ერ ჯი

კაპიტალის ცვლილებების ანალიზი - ფორმა N4

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი		1,034,703	1,034,703
წმინდა მოგება	-	1,143,766	1,143,766
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-		-
დარიცხული დივიდენდი	-	(67,189)	(67,189)
საწესდებო კაპიტალის ზრდა			-
2020 წლის 31 დეკემბერი	0	2,111,280	2,111,280

_____ გიორგი კახაბრიშვილი - დირექტორი

_____ ქეთევან გელეიშვილი - ფინანსური მენეჯერი

_____ დარეჯან ქუბრიაშვილი - ბუღალტერი

24 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის -
ფორმა N4

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი		1,034,703	1,034,703
წმინდა მოგება	-	1,143,766	1,143,766
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	-
დარიცხული დივიდენდი	-	(67,189)	(67,189)
საწესდებო კაპიტალის ზრდა			-
2020 წლის 31 დეკემბერი	0	2,111,280	2,111,280

ხელმოწერილი პირები:

გორგი კახაბრიშვილი - დირექტორი

დარეჯან ქუბრაშვილი - ბუღალტერი

ქეთევან გელაშვილი - ფინანსური მენეჯერი

24 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-20 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

1) შესავალი

- კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ეს ერ ჯი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში 2017 წლის 02 თებერვალს ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, მის მფლობელებს წარმოადგენენ ფიზიკური პირები

- 01019067708, ალექსანდრე ალიბეგაშვილი 50% წილის მფლობელი
- 12001054104, გიორგი კახაბრიშვილი 50% წილის მფლობელი

საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დირექტორი - 12001054104, გიორგი კახაბრიშვილი

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს გზების და ავტობანების მშენებლობა, ბეტონის წამოება (კომპანია სალიზინგო ხელშეკრულების საფუძველზე განკარგავს MeKa-s ფირმის ბეტონის ქარხანას, რომელიც მდებარეობს ყაზბეგის რაიონში, სოფელ ფანშეტის მიმდებარე ტეროტორიაზე) კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ყაზბეგის რაიონი, დაბა სტეფანწმინდა

- კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც განპირობებულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ იგი იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

2) მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

- მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და

მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და შესაბამისად კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის - ფორმა N1
- 2020 წლის ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ - ფორმა N2
- 2020 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება - ფორმა N3
- 2020 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება - ფორმა N4
- შესაბამის განმარტებითი შენიშვნებს

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასზე გადასვლის შემდგომ არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა სააანგარიშგებო პერიოდებში, აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა. აქედან გამომდინარე მოცემულ სტანდარტზე გადასვლის თარღისათვის კორექტირების თანხები გაუნაწილებელ მოგებაში ან საკუთარი კაპიტალის სხვა კატეგორიაში აღიარებას არ დაექვემდებარა

- ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

- შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

- პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; - შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

- მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;

- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამისია კომპანიის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დროებითი სხვაობები და წარმოქმნას გადავადებული მოგების გადასახადი აქტივის, ან ვალდებულების სახით.

2016 წელს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანია ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება სავალდებულო მოვლენა.

სავალდებულო მოვლენა არის ქმედება, რომელიც იწვევს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებას. სავალდებულო ქმედება მოიცავს დივიდენდების განაწილებას, ხარჯებსა და გადახდებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ეკონომიკურ საქმიანობასთან, ასევე პრივილეგირებულ საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსებს, უსაბუთო ხარჯებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებს.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეზღუდულ და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის საქართველოს ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

	31/12/2020	31/12/2019
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ასახულია წინამდებარე ანგარიშგებაში. ხოლო მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, აისახება ახსნა-განარტებით შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

კომპანია ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად წარმოიქმნება მიმდინარე ვალდებულება, მოსალოდნელია რესურსების გადინება და ვალდებულების ოდენობა შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. პირობითი ვალდებულებები აისახება მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. ის აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, თუ მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

შენიშვნა X საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

3) ანგარიშგება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ + შენიშვნები

1. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე, როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-20	31-დეკ-19
თანხა ბანკში	464,315	67,438
თანხა სალაროში	1	20
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	464,316	67,458

2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-20	31-დეკ-19
სავაჭრო მოთხოვნები	1,023,155	436,047
სხვა მოთხოვნები		297,188
		-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,023,155	733,235

3. გაცემული სესხები/

გაცემული სესხი და მისაღები პროცენტები

	31.12.2020	31.12.2019
გაცემული სესხი - შპს „ეისი“	68,675	-
მისაღები პროცენტები - შპს „ეისი“	8,619	-
	77,294	-

4. გაცემული ავანსები

წარმოადგენს მომწოდებლისთვის მომსახურების გამწვევისთვის ან/და საქონლის მოწოდებისთვის წინასწარ გადახდილ თანხას, რომელიც ანაზღაურება არა უგვიანეს 1 თვისა

გაცემული ავანსები	31-დეკ-20	31-დეკ-19
საქონლის და მომსახურების მომწოდებლებზე	-	68 675
ნეთობპროდუქტების მომწოდებლებზე	-	13 143
სს თიბისი ლიზინგი	-	5 185
გაცემული ავანსები სულ	0	87 004

5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა სასაქონლო მატერიალური ფასეულობა და მომსახურება, ასევე შრომის ანაზღაურება, რომელიც განკუთვნილია გასაყიდი პროდუქციის შესაქმნელად (საპროექტო ხარჯთაღრიცხვის მიხედვით გზების რეაბილიტაცია/მშენებლობა) მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად აღიარდება, როგორც დაუმთავრებელი წარმოება, რომელიც ხარჯად ჩამოიწერება შესრულებული სამუშაოებზე გამოწერილი და დამკვეთთან წარდგენილი შესრულებული სამუშაოების ამსახველი ფორმა 2-ის მიხედვით,

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღიარდება საშუალო შეწონილი მეთოდით

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31-დეკ-20	31-დეკ-19
ნედლეული და მასალები	25,830	2,613
დაუმთავრებელი წარმოება	415,590	480,848
მზა პროდუქცია	41,311	76,731
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	482,731	560,192

2020 წლის განმავლობაში 3 814 702 ლარის ღირებულების მარაგები გაიხარჯა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით ჩამოიწერა თვითღირებულებაში.

6. სხვა მიმდინარე აქტივი

საგადასახადო აქტივი	31-დეკ-20	31-დეკ-19
საგადასახადო აქტივი	-	178 358
მიღებულ ავანსზე გადახდილი დღგ	67 233	-
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	67 233	178 358

2020 წლის მიღებულ ავანსზე გადახდილი დღგ 67 233 ლარი ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლში "სხვა მიმდინარე აქტივი "

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ძირითადი საშუალებები	მანქანა დანადგარები	კომპიუტერული აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა	სხვა აქტივი /კეთილმოწყობა	ხელსაწყო ინსტრუმენტი	სულ
31 დეკემბერი 2019	1,933,778	11,559	8,710	160,224	45,645	2,159,916
შემოსვლა	1,706		192	1,760	46,613	50,271
გადაფასება						-
გასვლა	(87,874)					(87,874)
31 დეკემბერი 2020	1,847,610	11,559	8,902	161,984	92,258	2,122,313
ცვეთა და გაუფასურება		-	-	-		
31 დეკემბერი 2019	(147,211)	(4,360)	(3,746)	(2,793)	(2,644)	(160,754)
პერიოდის ცვეთა	(184,890)	(2,311)	(1,791)	(16,118)	(18,034)	(223,145)
გასვლა	(39,944)			(716)	(146)	(40,806)
31 დეკემბერი 2020	(372,045)	(6,671)	(5,537)	(19,627)	(20,824)	(424,705)
წმინდა საბალანსო ღირებულება		-	-	-		
31 დეკემბერი 2019	1,786,567	7,199	4,964	157,431	43,001	1,999,162
31 დეკემბერი 2020	1,475,565	4,888	3,365	142,357	71,434	1,697,608

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)	
მანქანა დანადგარები	10 - 15
კომპიუტერული აღჭურვილობა	3 - 5
საოფისე აღჭურვილობა	3 - 5
ავეჯი და სხვა და ინვენტარი	3 - 5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების გაუფასურების ნიშნები საანგარიშო პერიოდისთვის დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა.

მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია მიეკუთვნება სხვა მიმდინარე აქტივებს

8. არამატერიალური აქტივები

ლიცენზიები და არამატერიალური აქტივი	სხვა	ლიცენზია N 1004496 (ყაზბეგი მდ. თერგი)	ლიცენზია N 1004647 (ყაზბეგი მდ. თერგი)	ლიცენზია N 1005461 (ყაზბეგი სოფ. გველეხი)	ლიცენზია N 10000295 (ყაზბეგი სოფ. არშა/აჩხოტი)	სხვა არამატერიალური აქტივი	სულ
31 დეკემბერი 2020				90,000	34,683	451	125,134
შემოსვლა	-	-	-	-	-	-	-
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	-	-	-	90,000	34,683	451	125,134
ცვეთა და გაუფასურება		-	-	-	-		
31 დეკემბერი 2019	-	-	-	-	-	-	-
პერიოდის ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	(34,683)	-	(34,683)
31 დეკემბერი 2020	-	-	-	-	(34,683)	-	(34,683)
წმინდა საბალანსო ღირებულება		-	-	-	-		
31 დეკემბერი 2019	-	-	-	90,000	34,683	451	125,134
31 დეკემბერი 2020	-	-	-	90,000	-	451	90,451

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია დამოკიდებულია ლიცენზიების ვადაზე და ჩამოიწერება წრფივი მეთოდით. შპს ეს ერ ჯი -ს კუთვნილი ლიცენზიების ვადები წარმოდგენილი შემდეგი ვადებით

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)	
ლიცენზია N 1004496 ყაზბეგი მდ თერგი	5
ლიცენზია N 1004647 ყაზბეგი მდ თერგი	5
ლიცენზია N 1005461 ყაზბეგი სოფ გველეხი	10
ლიცენზია N 10000295 ყაზბეგი სოფ არშა/ აჩხოტი	5

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში. თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

	31-დეკ-20	31-დეკ-19
სავაჭრო ვალდებულებები	749 755	1 011 481
სხვა ვალდებულება - საპენსიო ფონდი	8 427	8 424
სულ	758 182	1 019 905

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებებს და მიღებულ ავანსებს არ ერიცხებათ პროცენტი

10. ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ**სახელფასო ვალდებულებები**

	31-დეკ-20	31-დეკ-19
გასაცემი ხელფასი თანამშრომლების მიმართ	34 070	28 530
მომსახურების სახელფასო ანაზღაურება	-	-
სულ	34 070	28 530

აღნიშნული ვალდებულებების ვადები და პირობები:

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

- გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტები და ჩვეულებრივ მათი დაფარვა ხდება 1 თვის ვადაში.

11. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები	31-დეკ-20	31-დეკ-19
საშემოსავლო გადასახადები	7 625	12 120
ქონების გადასახადი	1 674	8 367
დღგ	25 030	(198 845)
სულ	34 329	(178 358)

2019 წლის საგადასახადო ზედმეტობა 178 358 ლარი ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლში "სხვა მიმდინარე აქტივი "

- მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ე.წ „ესტონური მოდელით“. რის თანახმადაც მოგების გადასახადით დასაბეგრ ბაზას წარმოადგენს არა მოგება, არამედ გაცემული დივიდენდები და მასტან გატანაბრებული განაცემი, ასევე გადახდები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას

12. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები	31-დეკ-20	31-დეკ-19
საქ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	-	399,326
შპე ერ ტე დე	503,332	719,152
სხვა კომპანია	25,676	
მიღებული ავანსები სულ	529,008	1,118,478

დამკვეთთან გაფორმებული ხელშეკრულების და სატენდერო პირობების თანახმად კონკრეტულ სახელშეკრულებო შემთხვევისას ხდება ხელშეკრულებით შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების წინადაწინ გადახდა, რომელიც აღიარდება, როგორც მიღებული ავანსი და იბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადით სსკ-ის შესაბამისად. კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულია აღნიშნული ავანსის დაკავების პრინციპი, (შესრულებული სამუშაოების 20%-დან 70%-მდე შუალედში)

- მიღებულ ავანსებს არ ერიცხებათ პროცენტი

13. გრძელვადიანი სესხი

ფინანსური იჯარა/ლიზინგი	საწყისი თარიღი	დაფარვის თარიღი	ვალუტა	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
LA-82696 - სს თიბისი ლიზინგი	25-Mar-19	4-Apr-23	ლარი	106 750	147,898
LA-82740 - სს თიბისი ლიზინგი	27-Mar-19	4-Apr-23	ლარი	224 802	273,973
LA-82788 - სს თიბისი ლიზინგი	28-Mar-19	4-Mar-23	ლარი	73 748	89,782
LA-82789 - სს თიბისი ლიზინგი	28-Mar-19	4-Mar-23	ლარი	30 619	37,276
სულ				435 919	548,928

>>>>> 31.12.2020 წლის მდგომარეობით ბალანსზე არსებული გრძელვადიანი სესხი წარმოდგენილია ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებისგან

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდი

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

2) ანგარიშგება კომპანიის საქმიანობის შედეგების შესახებ + შენიშვნები

- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგება ფორმა N 2 წარმოდგენილია მსს ფასს-ის მიხედვით. მასში შემოსავლები და ხარჯები და მოგება-ზარალი ასახულია ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით. საოპერაციო შემოსავლები და გაწეული მომსახურების თვითღირებულება წარმოდგენილია აგრეგირებული სახით, ხოლო ადმინისტრაციული და საერთო ხარჯები მუხლობრივად, ეკონომიკური შინაარსის მიხედვით
- არაოპერაციო შემოსავლები საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მოცემულია განცალკევებულად
- საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ „ესტონური მოდელით“. დასაბეგრ ბაზა წარმოადგენს არა მოგების გადასახადი, არამედ გაცემული დივიდენდები და მასთან გათანაბრებული განაცემები, აგრეთვე გადაახადები და განაცემები, რომლებიც აგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- საგადასახადო მიზნისათვის მოგების გადასახადსა და სააღრიცხვო მოგებიდან მოგების გადასახადის ტარიფით გამოთვლილი მოგების გადასახადის სხვაობა მსს ფასს-ის მიხედვით უნდა აისახოს საგადასახადო აქტივის ან გადავადებული გადასახადის სახით, მაგრამ მეორეს მხრივ ასეთი სხვაობა გამოწვეულია არა შემოსავებისა და ხარჯების ღირებულების დროებითი სხვაობებით არამედ დაბეგვრის ბაზის ფორმირების არსებითი სხვადასხვაობით. ამასთან აღნიშნული გაურკვევლობა რამე ნორმატიული აქტით არ რეგულირდება.
- აღნიშნულის გათვალისწინებით მსს ფასს-ი მე-3 განყოფილების (პ. 3.4 – 3.7) საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება - სხვაობა საანგარიშგებო პერიოდში გადახდილი მოგების გადასახადისა და საანგარიშო მოგების გადასახადს შორის არ აისახოს საგადასახადო აქტივის სახით

14. შემოსავალი პროდუქციის/მომსახურების რეალიზაციიდან

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დამკვეთის მიერ (ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) გამოცხადებული ტენდერის პირობების თანახმად სამუშაოების შესრულება (საავტომობილო გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია), რომლის რეალიზაციის პერიოდად ითვლება შესრულებულ სამუშაოზე დამკვეთთან წარდგენილი სამუშაოს ამსახველი ფორმა-2 ის და მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენა და დამკვეთის მხარის მიერ დადასტურება, თანახმად მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა.

სამშენებლო კონტრაქტებიდან შემოსავლის აღიარება ხდება დასრულების პროცენტული მაჩვენებლის მეთოდის გამოყენებით, რაც გამოითვლება ანგარიშგების თარიღისთვის ფაქტიური დანახარჯების პროპორციულად, მთლიან დაგეგმილ ხარჯებთან მიმართებით, თითოეული კონტრაქტისთვის.

კომპანიის დამატებით საქმიანობას ასევე წარმოადგენს მოძრავი ტექნიკის იჯარა/სატრანსპორტო მომსახურება და ლიცენზიების საფუძველზე სარგებლობაში არსებული კარიერების დამუშავება და ინერტული მასალის რეალიზაცია

ამონაგები	2020	2019
სამშენებლო კონტრაქტების შესრულებიდან მიღებული შემოსავალი	4,312,059	6,190,542
მომსახურების გაწევა /იჯარა სატრანსპორტო მომსახურება	53,559	146,403
ნავთობპროდუქტების რეალიზაცია	118,211	152,801
ინერტ მასალის და ასფალტის რეალიზაცია	1,956,084	744,515
სხვა შემოსავალი	-	719,990
სულ	6,439,913	7,954,251

15. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა სასაქონლო მატერიალური ფასეულობა და მომსახურება, ასევე შრომის ანაზღაურება, რომელიც განკუთვნილია გასაყიდი პროდუქციის შესაქმნელად (საპროექტო ხარჯთაღრიცხვის მიხედვით გზების რეაბილიტაცია/მშენებლობა) მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად აღიარდება, როგორც დაუმთავრებელი წარმოება, რომელიც ხარჯად ჩამოიწერება შესრულებული სამუშაოებზე გამოწერილი და დამკვეთთან წარდგენილი შესრულებული სამუშაოების ამსახველი ფორმა 2-ის მიხედვით,

საქონლის გაყიდვებთან და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მასალის და მომსახურების ხარჯი იანგარიშება მომსახურების გაწევაზე ფაქტიურად გახარჯული მასალის და მომსახურების მიხედვით

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	2020	2019
ძირითადი მასალების დანახარჯები (სამშენებლო მასალა)	2,838,377	5,680,647
საწვავის ხარჯი	236,873	416,850
ტექნიკის რემონტის და იჯარის ხარჯი	739,452	123,877.00
სულ	3,814,702	6,221,374

16. ადმინისტრაციული ხარჯი

ადმინისტრაციული ხარჯები	2020	2019
საიჯარო ქირა		
საპენსიო შენატანი/ სოც დაზღვევა	(9,629)	(7,427)
ქონების გადასახადის ხარჯი	(10,041)	(8,367)
სამეურნეო და საოფისე ხარჯი	(1,399)	(1,893)
ელ ენერგიის ხარჯი	(21,375)	(11,872)
სანოტარო, საჯარო რეესტრის და სატენდერო ხარჯი	(3,404)	(1,584)
ბანკის საგარანტიო მოსახურების ხარჯი		(4,891)
საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურება		(39,500)
სულ	(45,848)	(75,534)

16. სხვა საოპერაციო ხარჯი

სხვა საოპერაციო ხარჯები	2020	2019
სალიცენზიო მოსაკრებელი		(3,510)
საიჯარო ქირა ობიექტებზე		(61,154)
ლიზინგთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი		(49,441)
დამხმარე მასალა და მომსახურება	(3,411)	(157,632)
ტექნიკის იჯარა მომსახურება	(666,512)	(356,950)
ტექნიკის რემონტის ხარჯი	(117,881)	(39,354)
აუდიტორული მომსახურება	(30,000)	(30,000)
დაზღვევის ხარჯი		-
საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურება		(86,990)
სულ	(817,804)	(785,031)
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(863,652)	(860,565)

17. სახელფასო დანახარჯი

ხელფასის ხარჯი	2020	2019
ხელფასი პირდაპირი	(289 321)	261 920
ხელფასი ადმინისტრაციის	(84 333)	87 307
სულ	(373 654)	349 227

18. . იჯარის ხარჯი

საიჯარო ქირა	2020	2019
მიწით სარგებლობის იჯარა	(15,340)	-
საიჯარო მომსახურება ბინის - ობიექტებზე	(31,405)	(61,154)
სულ	(46,745)	(61,154)

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

19. ცვეთა და ამორტიზაცია

ცვეთა/ ამორტიზაცია	2020	2019
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(223,145)	(64,093)
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		(19,280)
სულ	(223,145)	(83,373)

20. სხვა შემოსულობა/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო	2020	2019
საკურსო სხვაობა კონვერტაციიდან მოგება	1,929	6,311
საკურსო სხვაობა კონვერტაციიდან ზარალი	-	(1,895)
სულ	1,929	4,416

21. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

ფინანსური დანახარჯები	2020	2019
სალიზინგო ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული	(50,089)	-
საპროცენტო ხარჯი		
საბანკო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	-	
სულ ფინანსური დანახარჯები	(50,089)	-
ფინანსური შემოსავალი	2020	2019
საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	7,273	-
შპს ლუქარი"- სესხის საპროცენტო შემოსავალი	-	-
სულ ფინანსური შემოსავალი	7,273	-
ნეტო ფინანსური შემოსავალი	(42,816)	-

22. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

სხვა არასაოპერაციო ხარჯი	2020	2019
შემოსავალი აქტივის რელიაზაციიდან	59,322	-
განსაკუთრებული შემოსავალი, საშემოსავლოს შეღავათი	7,317	-
სულ	66,639	-

2) ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის (ფულადი ნაკადების) შესახებ

- ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული არრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამახურის მიერ დამტკიცებული ფორმა N3 -ის მიხედვით
- ანგარიშგება ფულადი ნაკადები შესახებ წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდით, და ასახავს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, რომელიც ამონაგებსა და ხარჯებს შორის სხვაობის სახით სახით მოიცავს ფულად შემოსულობებსა და გასავლებს
 - საოპერაციო საქმიანობიდან
 - საინვესტიციო საქმიანობიდან
 - საფინანსო საქმიანობიდან
- მსს ფასს-ის შესაბამისად კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები, საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები, საბიუჯეტო გადასახადების გადახდასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები, სხვა საოპერაციო ხარჯები
- ფულად ნაკადებში საინვესტიციო საქმიანობიდან შეტანილია სხვაობა დამფუძნებლების მიერ კაპიტალშიშენატანსა და განატანს შორის
- ფულად ნაკადებში საფინანსო საქმიანობიდან შეტანილია სესხის გაცემიდან მიღებული ფულადი სახსრები, მიღებული სესხებისა და კრედიტების დაფარვასთან დაკავშირებული გასავალი ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურების ანაზრაურება. კონკრეტულად აღნიშნულ ანგარიშგებაში არსებული მონაცემი გულისხმობს საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალს. სესხებთან დაკავშირებული ინფორმაცია გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ბგანმარტებით შენიშვნებში
- მსს ფასს-ის თანახმად სავალუტო კურსების ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი არ მიიჩნევა ფულად ნაკადად, თუმცა საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და დაასრულისათვის არსებული ფულადი სახსრებისა და ექვივალენტების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ფულადი სახსრების ანგარიშგებაში ასახულია საკურსო სხვაობის შედეგები

3) ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ

- ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული არრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამახურის მიერ დამტკიცებული ფორმა N4 -ის მიხედვით
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება.
- კომპანიის კაპიტალში ზრდა ან კლება არ დაფიქსირებულა

ხელმოწერი პირები:

გიორგი კახაბრიშვილი - დირექტორი

დარეჯან ქუბრაშვილი - ბუღალტერი

ქეთევან გელეიშვილი - ფინანსური მენეჯერი

24 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

2) ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის (ფულადი ნაკადების) შესახებ

- ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული არრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამახურის მიერ დამტკიცებული ფორმა N3 -ის მიხედვით
- ანგარიშგება ფულადი ნაკადები შესახებ წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდით, და ასახავს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, რომელიც ამონაგებსა და ხარჯებს შორის სხვაობის სახით სახით მოიცავს ფულად შემოსულობებსა და გასაღებს
- საოპერაციო საქმიანობიდან
- საინვესტიციო საქმიანობიდან
- საფინანსო საქმიანობიდან
- მსს ფასს-ის შესაბამისად კომპანიის საადრიცხო პოლიტიკით ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები, საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები, საბიუჯეტო გადასახადების გადახდასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები, სხვა საოპერაციო ხარჯები
- ფულად ნაკადებში საინვესტიციო საქმიანობიდან შეტანილია სხვაობა დამფუძნებლების მიერ კაპიტალშიშენატანსა და განატანს შორის
- ფულად ნაკადებში საფინანსო საქმიანობიდან შეტანილია სესხის გაცემიდან მიღებული ფულადი სახსრები, მიღებული სესხებისა და კრედიტების დაფარვასთან დაკავშირებული გასავალი ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურების ანაზრაურება. კონკრეტულად აღნიშნულ ანგარიშგებაში არსებული მონაცემი გულისხმობს საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალს. სესხებთან დაკავშირებული ინფორმაცია გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ბგანმარტებით შენიშვნებში
- მსს ფასს-ის თანახმად სავალუტო კურსების ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი არ მიიჩნევა ფულად ნაკადად, თუმცა საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და დაასრულისათვის არსებული ფულადი სახსრებისა და ექვივალენტების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ფულადი სახსრების ანგარიშგებაში ასახულია საკურსო სხვაობის შედეგები

3) ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ

- ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული არრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამახურის მიერ დამტკიცებული ფორმა N4 -ის მიხედვით
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება.
- კომპანიის კაპიტალში ზრდა ან კლება არ დაფიქსირებულა

ხელმოწერი პირები:

გორგი კახაბრიშვილი - დირექტორი

დარეჯან ქუბრიაშვილი - ბუღალტერი

ქეთევან გელეიშვილი - ფინანსური მენეჯერი

24 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო